თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6364959

ნომერი: AR1950970

თარიღი : 22.02.2023

გაცემის თარიღი : 13.03.2023

გაცნობის თარიღი : 13.03.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა, N 27;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილ მახარობლიშვილი პ/ნ 01008018073
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 86 ბ. 8

ორგანიზაცია:

- შპს "ლენდმარკ პროჯექტი" კოდი: 405221843

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 13 იანვრის №6282855 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 22 თებერვალს №AR1950970 განცხადებით მომართა ავთანდილ მახარობლიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 13 იანვრის №6282855 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 13 იანვრის №6282855 ბრძანებით შეთანხმდა, №01.18.09.001.008 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

სამსახურის 2023 წლის 3 თებერვლის №6313233 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2023 წლის 13 იანვრის №6282855 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ საცხოვრებელ, საოფისე, საზაფხულო, სასტუმროს ნომრებისა და საერთო ფართობებთან დაკავშირებით. ასევე, შეთანხმებულ გეგმებს დაემატა გამორჩენილი +32.10 და +78.30 ნიშნულების გეგმები და ჩანაცვლდა შეთანხმებული 0.00, +6.00, +9.00, +12.30, +15.60, +18.90, +22.20, +25.50, +28.80, +61.80, +75.00, +81.60 და +84.90 ნიშნულების გეგმები.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 13 იანვრის №6282855 ბრძანებაში ცვლილების შეტანას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში სასაწყობე ფართობად 912.0 კვ.მ-ის ნაცვლად 910.2 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 335.0 კვ.მ-ის ნაცვლად 612.7 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 10648.96 კვ.მ-ის ნაცვლად 10633.5 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 70322.16 კვ.მ-ის ნაცვლად 70582.6 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ ბრძანებაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ გეგმაზე ფართობების დაზუსტება.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი: №882022066084, მომზადების თარიღი: 29/01/2022 წ.) თანახმად, №01.18.09.001.008 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს "სისტემ ნეტ" (ს/ნ: 205267423). ხოლო, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22128892, მომზადების თარიღი: 13/10/2022 წ.) თანახმად, შპს "სისტემ ნეტ"-ის (ს/ნ: 205267423) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ილია ინჯია (პ/ნ: 01007000232). 2020 წლის 2 მარტის №AR1734090 განცხადებით სამსახურში წარმოდგენილია ილია ინჯიას (პ/ნ: 01007000232) მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული 2020 წლის 5 მარტის მინდობილობა. შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 13 იანვრის №6282855 ბრძანებაში ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 13 იანვრის №6282855 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში სასაწყობე ფართობად დაფიქსირდეს 910.2 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 612.7 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 10633.5 კვ.მ., საერთო ფართობად - 70582.6 კვ.მ.
2. სამსახურის 2023 წლის 13 იანვრის №6282855 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (სამსახურის 2023 წლის 3 თებერვლის №6313233 ბრძანებით ჩანაცვლებული და დამატებული გეგმების გათვალისწინებით) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 13 იანვრის №6282855 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 13 იანვრის №6282855 და 2023 წლის 3 თებერვლის №6313233 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge